



სამართლებლო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტროს

ბრძანება №



MES 4 22 0001364821



27/10/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის - "კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა" (კლასიფიკაციის კოდი: 05 14 01) ქვეპროგრამის - „პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება“ (კლასიფიკაციის კოდი: 05 14 01 01) ღონისძიების „კულტურის სფეროს მუშაკებთან შეხვედრა“ ფარგლებში კონკურსის „წარმატებული ხელოვანი“- ის გამოცხადების, დებულების დამტკიცებისა და რიგი პირობების განსაზღვრის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს ქვეპროგრამას - „პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება“. აღნიშნული ქვეპროგრამა მოიცავს ღონისძიებას „კულტურის სფეროს მუშაკებთან შეხვედრა“, რაც ითვალისწინებს კულტურის სფეროს გამოჩენილ, დამსახურებულ მოღვაწეებთან, მათ შორის იუბილარებთან შეხვედრას და იმ პირების დაჯილდოებას, რომლებმაც თავიანთი პროფესიული საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ან შეაქვეთ კულტურის სხვადასხვა სფეროს პოპულარიზაციაში.

ზემოხსენებული ღონისძიების ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში 2022 წლის 11 ოქტომბერს გაიმართა კომისიის სხდომა, სადაც განსაზღვრულ იქნა კონკურსის დასახელება და სხვა რიგი პირობები. მიზანშეწონილია, გამოცხადდეს კონკურსი, დამტკიცდეს კონკურსის ფარგლებში მოქმედი დებულება, განაცხადისა და შეფასების ფორმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის აკაკი ძნელაძის 2022 წლის 26 ოქტომბრის N1362026 მოხსენებითი ბარათისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის "კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა" (კლასიფიკაციის კოდი: 05 14 01) ქვეპროგრამის - „პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და

ლონისძიებების ორგანიზება“ (კლასიფიკაციის კოდი: 05 14 01 01) ლონისძიების - „კულტურის სფეროს მუშაკებთან შეხვედრა“ ფარგლებში გამოცხადდეს კონკურსი - „წარმატებული ხელოვანი“ და განაცხადის მიღების ვადად განისაზღვროს 27 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი;

2. დამტკიცდეს ლონისძიების - „კულტურის სფეროს მუშაკებთან შეხვედრა“ ფარგლებში - „წარმატებული ხელოვანი“ კონკურსის დებულება, განაცხადისა და შეფასების ფორმები თანახმად N1, N2 და N3 დანართებისა.

3. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებამ.

4. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა უზრუნველყოს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებამ.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის: ქალაქი ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. №9), ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაია ხაჯიშვილი
მ ი ნ ი ს ტ რ ი

